ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 84

“29” დეკემბერი 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №48-ში მდებარე 47.59 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.05.003.007.01.1049) და ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №48-ში მდებარე 40.44 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.05.003.007.01.1050) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №48-ში მდებარე 47.59 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.05.003.007.01.1049) და 40.44 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.05.003.007.01.1050) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 16 დეკემბრის №21.1716.1916 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №48, მე-2 სართულზე მდებარე 47.59 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.05.003.007.01.1049) და ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №48, მე-2 სართულზე მდებარე 40.44 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.05.003.007.01.1050) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ელისო ფარჯიანისთვის (პ/ნ. 01017041398) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება ერთის თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე